საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>ირაკლი ბონდარენკო</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიორგი გოგიაშვილი?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ირაკლი ბონდარენკო

2021 წლის 17 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიორგი გოგიაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **გიორგი გოგიაშვილმა**.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა, 33 კანდიდატი, მათ შორის - გიორგი გოგიაშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 96 ქულა.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

აღნიშნული განკარგულება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრა კანდიდატმა - ირაკლი ქსოვრელმა. პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩაატარა ღია კენჭისყრა 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ღია კენჭისყრაზე გიორგი გოგიაშვილს დავუჭირე მხარი. ვინაიდან მივიჩნიე, რომ მისი სამართლის ნორმების ცოდნის დონე, კომპეტენცია, პროფესიული გამოცდილება, პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები, გამოვლენილი უნარ-ჩვევები მაღალია და იგი უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ირაკლი ბონდარენკო